ცალკე ნომერი 3 კ.

# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი I. 1907 წ.

თბილისი ხუთშაბათი 1 მარტი

№ 10

მიიღება ხელის-მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთ
ჩვენ ცხოვრებაზე
აზიანის და ევდოშვილის მონაწილეობით.

გაზეთი ღირება:

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ . | 5 მ. | წლიურათ . | 6 მ. |
| ექვსი თვით. | 3 „ | ექვსი თვით | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით. | „ 50 კ. | ერთი თვით | „ 60 „ |

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება სტამბა „საქმე“-ში. მიხეილის ქ. № 40.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба“. რედაქციის—ელისაბედის ქ. № 88.

## ლიბერალური ბურჟუაზია რუსეთის რევოლიუციაში.

(დასასრული)

ლიბერალურ ბურჟუაზიის მეორე ლოზუნგი გაცილებით უფრო პრაქტიკულია, ვიდრე პირველი,—ეს არის კითხვა კადეტურ „პასუხის მგებელ“ სამინისტროზე.

რა არის კადეტური სამინისტრო?

ეს ისეთი სამინისტროა, რომელიც უნდა აირჩიოს სათათბიროს უმეტესობამ, კადეტების უმეტესობამ, ხოლო კამარილამ უნდა დაამტკიცოს და „აკურთხოს“. ცხადია, მისი მოქმედება არ უნდა გადასცილდეს „ძირითად კანონების“ ფარგალს.

რა ნაყოფი მოჰყვება კადეტურ სამინისტროს, თუ ის, ვთქვათ, განხორციელდა როგორმე?

თქმა არ უნდა, რომ დიდათ არა შეიცვლება-რა. კადეტური სამინისტრო ვერ დაღუპავს რევოლიუციას, რა გინდ ეშმაკურათ მოახერხოს მან კადეტებისა და რეაქციის შერიგება. მაგრამ ის ვერცააშენებს რევოლიუციას. ის მხოლოთ ცოტა რამეს შესცვლის, რამდენიმეთ გაამალაშინებს რეაქციის ოკრო-ბოკრო სახეს,—არც მეტი, არც ნაკლები. და ეს იმიტომ, რომ ბატონყმური ნაშთები, რომლებიც ჩვეულებრივი ნიადაგია დღევანდელ უკულმართობისა,—ხელუხლებლათ დარჩება. კიდევ იმიტომ, რომ არსებული კამარილა, რომელსაც ხელში უჭირავს ამ უკულმართობის ძაფები.—ძველებურათ თავის ადგილზე დარჩება. დიახ, მხოლოთ რამოდენიმეთ შესცვლის გარემოებას კადეტური სამინისტრო. მართალია, ამას წინათ ჩვენი ამხ. მენშევიკები „თვითმპყრობელობის დამლას“ ელოდნენ ამისთანა სამინისტროსგან, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს, როცა ცოტა რამე ისწავლეს რევოლიუციისაგან, ამგვარ სიბავშვეს აღარ გაიმეორებენ.

საჭიროა თუ არა მხარი დაუჭიროთ კადეტურ სამინისტროს მოთხოვნას?

რა არის მხარის დაჭერა? ზოგიერთ ამხანაგებს მარტო კენჭის მიცემა და რეზოლიუციების გამოტანა ჰგონიათ მხარის დაჭერა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ასეთი „მხარის დაჭერა“ სიცილათაც არ ეყოფა კამარილას? ვინ არ იცის, რომ ასეთი „ბრძოლა“ ვერავითარ კადეტურ სამინისტროს ვერ მოიპოვებს? ცხადია, მხარის დაჭერა—ეს ხალხის მოძრაობის დაწყებაა კადეტურ სამინისტროს მოსაპოვებლათ.

მაშინ ზემოდ წამოყენებული კითხვა ასეთ შინაარსს იღებს: საჭიროა თუ არა, რომ ხალხის მოძრაობამ კადეტურ ლოზუნგის ქვეშ გაიაროს? საჭიროა თუ არა, რომ, ხალხის მოძრაობის დროს, გვერდზე გადავდოთ ჩვენი ლოზუნგი და კადეტურ ლოზუნგის გარშემო შემოვკრიბოთ რევოლიუციონური ხალხი?

ან-და—წარმოსადგენია, რომ მუშები და გლეხები კადეტურ სამინისტროს ლოზუნგმა აღაფრთოვანოს და ბრძოლის ველზე გამოიყვანოს? წარმოსადგენია, რომ მუშებმა და გლეხებმა ამ ლოზუნგისთვის დაღვარონ სისხლი? უფრო ადვილი წარმოსადგენი არ არის, რომ რევოლიუციონური ხალხი, თუ კი ფეხზე ადგება, „სამინისტროს“ ლოზუნგს შორს გადასტყორცნის და დამფუძნებელ კრებას მოითხოვს?

პირველ კითხვებზე ამხ. მენშევიკები გვეუბნებიან, რომ საჭიროა მხარი დაუჭიროთ კადეტურ სამინისტროს ლოზუნგს და მის გარშემო გავატაროთ ხალხის მოძრაობაო. ჩვენ ვამბობთ, რომ ასე მხოლოთ ლიბერალები ლაპარაკობენ. ჩვენ ვამბობთ, რომ მხოლოთ ლიბერალები ცდილობენ თავიანთ ლოზუნგების გარშემო ხალხის შემოკრებას, და როცა ამხ. მენშევიკებიც ასე იქცევიან, როცა ისინი დროებით გვერდზე სდებენ სოციალდემოკრატიის ლოზუნგებს, როცა ამხ. მენშევიკები, დროებით, ლიბერალურ დროშის ქვეშ იწვევენ ხალხის მოძრაობას,—ეს იმასა ნიშნავს, რომ ისინი ლიბერალების მაჩანჩალებათ გადაიქცევიან. ჩვენ ვაცხადებთ, რომ სოციალდემოკრატია ამ გზას არას დროს არა სდგომია და არც დაადგება, გაიხსენეთ ფაქტები. „ოქტომბრის“ წინა დღეებში კადეტები რეფორმებს ითხოვდნენ „ზემსკაია კამპანიის“ დროს. ეს რეფორმები სჯობდა, რა თქმა უნდა, რეაქციონურ რეჟიმს. დაუჭირეს თუ არა მხარი სოც.-დემოკრატებმა კადეტურ ლოზუნგებს? შემოკრიბეს თუ არა ხალხი, კადეტურ ლოზუნგების გარშემო? არა, არ შემოკრიბეს! სოციალდემოკრატებმა უკუაგდეს კადეტური ლოზუნგები და თავისი ლოზუნგების ქვეშ გაატარეს მთელი „ოქტომბრის დღეები“! რატომ? იმიტომ, რომ სოციალდემოკრატიას აქვს თავისი ლოზუნგები, რომლებსაც არას დროს არ ღალატობს. კიდევ იმიტომ, რომ სოციალდემოკრატების საქმე არაა სახელი გაუკეთოს ლიბერალურ ბურჟუაზიას და მის გარშემო მოუწოდოს ხალხს. ძირს კადეტების მეთაურობა! აი, რას ამბობენ სოც.-დემოკრატები.

და თუ ამხ. მენშევიკები მაინც „მხარს უჭერენ“ „სამინისტროს“ ლოზუნგს, ეს იმასა ნიშნავს, რომ მათ კადეტების მეთაურობა უფრო აინტერესებს, ვიდრე სოციალ-დემოკრატების, — კადეტებთან უფრო ახლო დგანან ისინი, ვიდრე სოც.-დემოკრატიასთან.

გარდა ამისა, ოცნებაა ამხ. მენშევიკების ის აზრი, რომ, ვითომ ხალხი „სამინისტროს“ ლოზუნგისთვის ამღელვარდება და მისთვის დაღვრის სისხლს. დიდი დამტკიცება არ უნდა იმას, რომ ხალხი თუ ამღელვარდება – ისევ სახალხო დამფუძნებელ კრებისთვის. და როცა ამხ. მენშევიკები კადეტებთან ერთათ ისეთ ლოზუნგს იძლევიან, რომელიც „რევოლიუციის შეწყვეტას“ უფრო შეეფერება, ვიდრე რევოლიუციის განგრძობას,—ეს იმასა ნიშნავს, რომ ისინი თავისდა უნებურათ ცდილობენ უკან დასწიონ მოძრაობა და კადეტების დროშას შეუფარდონ.

გარდა ამისა მენშევიკები იმასაც ფიქრობენ, რომ ჩვენ უკვე პარლამენტი გვაქვს და კადეტების სამინისტრო პარლამენტარული გზით შეიძლება მოვიპოვოთ. რა თქმა უნდა ეს ძალიან სასაცილოა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ისინი ამასწინეთ სულ სხვას ლაპარაკობდნენ. ყური დაუგდეთ **მარტოვს**:

„ბურჟუაზიამ უნდა გაიგოს, რომ სახელმწიფო სათათბირო **პარლამენტი არ არის**... რადგანაც **არა გვაქვს ისეთი კონსტიტუცია**, რომლის მიხედვითაც იკრიბება სათათბირო და რომელიც მას... ძალაუფლებას აძლევს“ (იხ. Народъ и госуд. дума.“ 17 გვ. Эльмаръ—**ელმარი** მარტოვია).

აი, როგორ ფიქრობდნენ მენშევიკები, როცა ისინი სოციალდემოკრატობდნენ.

დღეს სურათი შეიცვალა—ალბათ კადეტების მაჩანჩალობა ტკბილი ყოფილა.

---

## სათათბიროში

**მეორე სათათბირო.** მიუხედავათ იმისა, რომ აგერ ერთ კვირაზე მეტია, რაც დუმა გაიხსნა, ჯერ მას არც ერთ იმ კითხვაზე, რომლის ასე თუ ისე გადაჭრა ყველას გულზე აწევს, მსჯელობა არ ჰქონებია. რასაკვირველია, ამას თავის გასამართლებელი საბუთი აქვს: დუმა მთელ ამ დროს ანდომებს სათანამდებო პირების (თავმჯდომარის, მდივნების და სხვა.) არჩევას და დეპუტატების მანდატების შემოწმებას. ყველაფერი ეს კარგი. მაგრამ, აბა ერთი შეხედეთ, თუ რა განსხვავებაა ამ მხრივ პირველ სათათბიროსა და მეორეს შორის! ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვეკუთვნით არც პირველის და არც მეორე დუმის მათაყვანებელთაგანს, მაგრამ იმის უარის ყოფა არ შეიძლება, რომ პირველმა დუმამ გახსნისთანავე დასვა საკითხი იმათზე, ვინც იმ დროს მთავრობის ტყვეობაში იტანჯებოდა. მაშინ პირველ სხდომაზევე მოითხოვეს განთავისუფლება და დაბრუნება ყველა იმათი, ვინც ხალხის სამსახურისათვის ციხეებში და კატორგაში ლევდენ სულს! დღეს მდგომარეობა ბევრათ უფრო გამწვავებულია. ვიტე-დურნოვოს რეპრესიებს ახლა მიემატა სტოლიპინ-კრიჟანოვსკის-პავლოვის სამხედრო-საველე სასამართლოები, რის წყალობით 15 წლის ბავშვებსაც კი არ ზოგავენ და სახრჩობელაზე ისტუმრებენ. დღეს ველას ახსოვს ციხე, კატორგა და ციმბირი! დღეს ვინლა ჩივის ათიათასობით ადმინისტრატიულ წესით დატყვევებულებზე! და ამ დროს კი მეორე დუმა ამეებზე ხმას არ იღებს. მხოლოთ პეტერბურგის ქუჩებზე შეკრებილი მუშები დუმის გახსნის დღეს აბარებდნენ დეპუტატებს ტყვეების განთავისუფლებას. საკვირველია: როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამის შესახებ. სოც. დემოკრატიული ფრაქციაც არ ცდილობს საერთო მყუდროების დარღვევას: მას გადაუწყვეტია არ წამოაყენოს ჯერ-ჯერობით დუმაში საკითხი ამნისტიის შესახებ. ჩვენ ჯერ-ჯერობით თავს შევიკავებთ დუმის ფრაქციების კრიტიკის შესახებ, ჯერ ვუყუროთ გარემოებას.

**შეინახეთ სათათბირო!** ერიდეთ დუმაში კონფლიქტების მოხდენას! ასე გაიძახიან დღეს როგორც კადეტების, ისე თითქმის ყველა მემარჯვენე პარტიების ბანაკში. პირველი სათათბირო დაღუპა იმ გარემოებამ, რომ იგი არ ერიდებოდა კონფლიქტებს და პირიქით სულ უფრო-და-უფრო ცდილობდა გაემწვავებინა დამოკიდებულება მთავრობასა და ხალხს შორისო! და მართლაც ვისთვის არის საჭირო დუმის არსებობა, მისი ხანგრძლივი არსებობა? გაიხსენეთ, რომ, როცა დუმის თავმჯდომარეთ კადეტი გოლოვინი იქნა არჩეული, ამით ყველა მემარჯვენე წრეები, ჯგუფები და პარტიები დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ. წარმოიდგინეთ, რომ გაზეთი „როსსია“, ეს საველე-სასამართლოების, სახრჩობელას და დახვრეტის მთავრობის მოყიდული ორგანოც კი სიამოვნებით მიეგება გოლოვინის არჩევას. მისი სიტყვით „ახალი თავმჯდომარე შეუდგა თავის მძიმე საქმეს უბრალო და აშკარა განცხადებით, რომლის ტაქტიკა ყოველს ეჭვს გარეშეაო“. და მართლაც კადეტ-გოლოვინის პირველი სიტყვა, მართლა რომ, ნამდვილი ოქტომბრისეული იყო, როგორც გაზ. „ახალი სხივი“ შენიშნვეს. ჩვენ მხოლოთ ვერ გაგვიგია ამხ. არ. ჯაფარიძის სიტყვები, რომელიც ამართლებს სოც. დემოკრ. ფრაქციის მხრივ მხარის დაჭერას გოლოვინის არჩევაში, ამხ. ჯაფარიძე წერს: ფრაქციის პოზიცია ასეთია: მხარი დაუჭიროთ რაც შეიძლება უფრო მემარცხენეს და იმავე დროს ისეთ კანდიდატს (დუმის თავმჯდომარე), რომელსაც შეეძლო შემოეკრიბა თავის გარშემო დიდი უმრავლესობა. ამიტომ ჩვენ მივეცით ხმა კადეტების კანდიდატებსო“. როგორც ხედავთ, ეს ვერაფერი მოტივია. რა ნაირათ შეიძლება გოლოვინი „რაც შეიძლება უფრო მემარცხენეთ ჩაითვალოს, ეს ჩვენთვის გაუგებარია, გოლოვინისათვის ხმის მიცემა ნიშნავს მხოლოთ კადეტების გეგემონიის განმტკიცებას და მეტს არაფერს. ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს კადეტების გეგემონია დუმაში. ეს არის დუმის ორგანიულ მუშაობის გაგრძელება ეგრეთ წოდებულ „ძირითად კანონების“ ფარგლებში, ეს ნიშნავს კამარილას არსებობას, ეს ნიშნავს იმას, რომ ვერც ქალაქის პროლეტარიატი და ვერც

სოფლის გაჭირვებული გლეხობა ვერ ელირსება თავის მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებას. შეუძლია თუ არა ასეთ პარტიას და ასეთ ტაქტიკას მხარი დაუჭიროს პროლეტარიატის პარტიამ? ჩვენ ვამბობთ, რომ—არას შემთხვევაში. ამხანაგი მენშევიკები კი, სამწუხაროთ, სულ სხვა აზრისა არიან; ისინი კი სულ სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ. კადეტებთან და მემარჯვენეებთან ერთათ ისინიც გაიძახიან: ერიდეთ კონფლიქტებს დუმაშიო *). მაგრამ ეს არ არის პროლეტარიატის ლოზუნგი; ეს არ არის რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტაქტიკა დუმაში. გაიხსენეთ უკანასკნელი სიეზდის დადგენილება: უნდა ვეცადოთ გავაფართოვოთ და გავამწვავოთ **ეს კომფლიქტები** (სახელდობ კომფლიქტები, როგორც მთავრობასა და დუმას **შორის, ისე თვით დუმაში**) იმ ხარისხამდე, რომ აქედან შესაძლებელი შეიქნეს **მასსიური** მოძრაობა“... როგორ შეუთანხმოთ ამ დადგენილებას ამხ.—მენშევიკების დღევანდელი ტაქტიკა? ვის ემსახურებიან ისინი თავის მოქმედებით? ვინ ისარგებლებს დუმის ორგანიულ მუშაობით? ყური დაუგდეთ, ამხანაგებო, თუ როგორ გაფაციცებით თვალყურს ადევნებს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია მეორე დუმის დინჯ და ზომიერ ტაქტიკას, რათა საველე სასამართლოების მთავრობას კიდევ მიაწოდოს 800 მილიონი, ურომლისოთ რუსეთის დღევანდელ მთავრობას სიცოცხლე აღარ შეუძლიან.

---

## სათათბიროს გარეთ

ხალხი მაინც ღელავს, ხალხი მაინც ბობოქრობს!

ის ვერ დააწყნარა სათათბიროს შეკრებამ.

მართალია მხურვალე მონაწილეობას იღებდა თვისი და არა მთავრობის კაცები გაეგზავნა თვითმპყრობელ სამინისტროსთან, მართალია ის დღესაც გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს სათათბიროს ყოველ ნაბიჯს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იმედი აქვს სათათბიროდგან ამობრწყინდეს მზეი თავისუფლებისა, იმიტომ კი არა, რომ სათათბირო შესცვლის რუსეთის პოლიტიკურს და ეკონომიურს მდგომარეობას, იმიტომ კი არა, რომ სათათბირო შეანგრევს კერპის გალავანს, არა! ხალხი ინსტიქტიურათ გრძნობს, რომ სათათბიროს ეს არ შეუძლია, რომ სათათბირო უძლურია ამისთანა დიდი საქმისთვის, ამიტომ იგი სათათბიროს უყურებს, როგორც მომრიგებელ მოციქულს კი არა, არამედ როგორც მტრის ბანაკში შეჭრილს ისარს. ის არ კმაყოფილდება ამ პატარა ისრით და აი, იგი ბანაკის გარშემო ბობოქრობს, ღელავს და, ერთხელ შემდგარი რევოლიუციურ გზაზე, ის მიექანება წინ!

ის შეასრულებს თავის მისსიას, მას, და არა სათათბიროს, უკავია ხელში დროშა თავისუფლებისა.

დეე, მორბილდეს დუმა, დეე, სოვდაგრობა დაიწყოს მან მთავრობასთან, ეს უარესი! ეს იქნება ცეცხლზე ნავთის დასხმა, ხალხის გაბოროტებულ გულის უარესი გაბრაზება.

რომ სათათბიროს მოწვევამ ვერ მიახწევინა მთავრობას თავის მიზნისთვის, რომ თვით მთავრობაც არ ელის, რომ სათათბიროს თავზე ხელის გადასმით ჩააქრობს რევოლიუციის კოცონს, ეს სჩანს იქიდგანაც, რომ შეშინებული მთავრობა ვერა ნდობია ხალხს, არ აშორებს მას სამხედრო ალყას, საველე სასამართლოს, არ უღებს მის თავგანწირულ შვილებს საპყრობილის კედლებს.

ის, როგორც ტელეგრამები გადმოგვცემენ, სტოლიპინის ბაგით ტკბილს საუბარს აპირებს სათათბიროსთან, მაგრამ ეს ვერ დაატკბობს გამწარებულ ხალხის გულს.

დიახ, ხალხი კვლავ ღელავს, ხალხი ბობოქრობს სათათბიროს გარეთ. ის „სათათბიროს გარეთ“ უმზადებს მთავრობას საშინელ საჩუქარს.

*). გაზ. „წინ“ უფრო თავდაჭერილია: იგი ამბობს „უდროო“ კომფლიქტსო.

ის გარედგან ხმას აძლევს თავის წარმომადგენლებს სათათბიროში. მართავს კრებებს, მიტინგებს, ადგენს რეზოლიუციებს, ნაკაზებს.

**ექვსი ათას მუშის მიტინგი.** 21 თებერვალს სემიანიკოვის ქარხანაში შეიკრიბა 6 ათასამდე მუშა. კრებას დაესწრო სათათბიროს წევრი პეტერბურგის მუშების წარმომადგენელი ალექსინსკი და ყუბანის ოლქის წარმომადგენელი მიტროვი. ილაპარაკა ორივე დეპუტატმა. დეპუტატმა ალექსინსკიმ მოუწოდა მუშებს ორგანიზაციულათ შეკავშირდნენ თავის წარმომადგენელ დეპუტატების გარშემო; ეს საჭიროა,—განაგრძო ალექსინსკიმ,—იმიტომ, რომ ის, რასაც ჩვენ ეხლა ვთხოულობთ, შეიძლება მხოლოდ ბრძოლით მოვიპოვოთო. „მე მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო, საბრძოლველათ“. ძლიერმა ტაშის ცემამ დაჰფარა დეპუტატის სიტყვები. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც გადაეცემა სათათბიროში მუშათა დეპუტატებს.

ილაპარაკა აგრეთვე ამხ. ჩირკინმა.

**ქალაქის რკინის გზების მოსამსახურეთა ნაკაზი დეპუტატ ალექსინსკის.** „ქალაქის რკინის გზების მოსამსახურენი უთვლიან სალამს მუშათა დეპუტატებს გისურვებენ გამარჯვებას თქვენს საქმეში ძვირფას წამებულ სამშობლოს სასარგებლოთ.

თქვენ გაგაგზავნათ პეტერბურგის პროლეტარიატმა სახელმწიფოს მეორე სათათბიროში. ამიტომ ჩვენც. ქალაქ. რკ. გზების მოსამსახურენი რიცხვით 5000 კაცი, გთხოვთ თქვენ იყვნეთ მისი ნამდვილ საჭიროებათა დამცველი და გამომთქმელი. 1) მოითხოვეთ სრული ამნისტია პოლიტიკურ საქმეთა გამო დასჯილთათვის. 2) სიკვდილით დასჯის გაუქმება. 3) მოითხოვეთ საყოველთაო არჩენეის უფლება განურჩევლათ სარწმუნოებისა, სქესის, და ეროვნებისა.

4) ყველა მიწების კონფისკაცია: სახაზინოების, საკაბინეტოსი, საუფლისწულოსი, მონისტრების და კერძო სამფლობელობის და მათი გადაცემა მშრომელ ხალხის ხელში. 5) რვა საათის სამუშაო დღე, და კანონით დაცვა შრომისა.

იმედი გვაქვს, რომ თქვენ, როგორც მუშების წარმომადგენელნი, დაიცავთ სრულათ ჩვენს ინტერესებს“.

თითქმის ასეთივე, რეზოლიუციები და ნაკაზები შეიმუშავეს იჟორის ქარხნის მუშებმა, ნარვის რაიონის უმუშევრათ დარჩენილმა მუშებმა.

მიტინგი გამართეს სათათბიროს გახსნის დღეს აგრეთვე სტუდენტებმა და მოსკოვის მოსწავლე ახალგაზდობამ. დაესწრენ აგრეთვე მუშებიც. ლაპარაკობდნენ და ს. დ-ები ესერები.

ერთის სიტყვით დუმის გარეთ ხალხი ბობოქრობს, ხალხი მოქმედობს და მით უფრო ფიქრში აგდებს „შერიგების“ მსურველ ბიუროკრატიას.

---

## პრესა

**ისწავლეთ, ამხანაგებო!** თბილელი მენშევიკები ჩაგვცივიან, რომ ტრუდოვიკ-ესერებთან ინფორმაციურ ბიუროს შედგენა—ბლოკის შეკვრააო (იხ. „წინ“ № 13). ოხუნჯი „პუბლიცისტები“! ლექსიკონიც კი არ წაუკითხავთ, ტერმინის მნიშვნელობაც კი არ იციან! ძვირფასო ამხანაგებო! რით ვერ ისწავლეთ, რომ ინფორმაციონი ბიურო,—შესატყობინებელი ბიურო (освѣдомляющее бюро), სადაც ბიუროში შესული ესერ-ტრუდოვიკ-სოც.-დემოკრატები დუმაში კამათის გახსნამდე **ატყობინებენ** ერთმანეთს თავთავიანთ რეზოლიუციებს, და, **თუ შესაძლებლათ დაინახვენ ამის შემდეგ**,—ერთათ გამოდიან წინაალმდეგ კადეტებიბისა და რეაქციისა? რით ვერ გაიგეთ, რომ ასეთი **ბიურო** სხვაა, და ბლოკი კიდევ სხვა? რით ვერ გაიგეთ, რომ **მხოლოდ** პლეხანოვი და მისი მომხრეებია პარტიაში, რომლებიც **ბლოკს** იცავენ არა მარტო ესერებთან, არამედ კადეტებთანაც? არ გახსოვთ პლეხანოვის „საერთო პლატფორმა“ და საერთო ფურც-

---

# ფელეტონი

## პროფესიონალური მოძრაობა და სოციალდემოკრატია

არც ერთ წარმოებით ფორმას არ ჰქონია ისეთი სწრაფი განვითარება, როგორც კაპიტალიზმს აქვს თან-დაყოლილი. ამის მიზეზი ის განვითარებული ტეხნიკაა, რომელზედაც დღევანდელი ეკონომიური ურთიერთობა ემყარება. მაგრამ განვითარება საერთოთ უარყოფაა იმისი, რაც ვითარდება, უფრო შემუშავებულ, უფრო მაღალ ფორმაში გადასვლაა. ამ შემთხვევაში კი კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება მის მიერ სწრაფ თვითუარყოფას მოასწავებს. ეს თვითუარყოფა გამოიხატება, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ფორმებში. კაპიტალიზმის თვითუარყოფის ეკონომიური მომენტები შემდეგია. თავის განვითარებაში და არსებობაში კაპიტალიზმი კერძო საკუთრების პრინციპზეა დამყარებული, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი მუდამ ლახავს ამ პრინციპს, რადგან იგი მუდამ ექსპროპრიაციას უშვრება მესაკუთრეთა ფართე მასსას და მით არა—მესაკუთრეთა ბანაკს აძლიერებს. შემდეგ კაპიტალისტურ წარმოებას სტიქიური, მოუწყობელი ხასიათი აქვს. მის ასეთი ხასიათიდან აუცილებლათ გამომდინარეობს, ეგრედ წოდებული, კრიზისები რომლებიც ამ წარმოებას ძირიანათ შეარყევენ ხოლმე. მაგრამ ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვან კაპიტალიზმის უარმყოფელ ფაქტათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ დღევანდელ წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. საზოგადოებრივია იმ მხრივ, რომ ყოველი მისი ნაწარმოები საზოგადოებრივ შრომის ნაყოფია, ყოველ მის ნაწარმოებაში საზოგადოებრივი შრომაა გამოხატული.

სანამ კაპიტალიზმის თვითუარყოფის პოლიტიკურ ფორმაზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია შემდეგი აღვნიშნოთ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლიტიკური ფორმა ეკონომიურ ფორმებისგან დამოუკიდებლათ განიხილებოდეს. პირველი არა თუ დამოუკიდებელია მეორესგან, არამედ მის სხვანაერ გამოხატულებას შეადგენს მხოლოდ. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან კაპიტალიზმი არის ხალხის საწარმოეთ **საზოგადოებრივი** ურთიერთობა. ამიტომ კაპიტალიც საზოგადოებრივ ეკონომიურ კატეგორიათ უნდა წარმოვიდგინოთ, ე. ი. სეთ კატეგორიათ, რომელიც ამა თუ იმ ურთიერთობას ჰქმნის ხალხში.

მაგრამ გადავიდეთ კაპიტალიზმის თვითუარყოფის პოლიტიკურ ფორმაზე. კაპიტალიზმის არსებობას თან სდევს ორ, მწვავეთ დაპირდაპირებულ კლასის არსებობა. კაპიტალისტების და პროლეტარიატის, რომელნიც დამქირავებლების და დაქირავებულების ურთიერთობაში იმყოფებიან. თუმცა ორივ ეს კლასი ერთი და იგივე სხეულის, კაპიტალისტურ წარმოების აუცილებელ ორგანოებს შეადგენენ, მაგრამ ორივე მათგანი დიამეტრალურათ წინაალმდეგი ინტერესებით არიან აღჭურვილნი, რის გამოც მათ სამკვდრო—სასიცოცხლო ბრძოლა უხდებათ ერთმანერთთან. აი, ამ ბრძოლაში, ამ ინტერესთა წინაალმდეგობაში, ამ კლასიურ ანტაგონიზმში ვხედავთ ჩვენ კაპიტალიზმის თვითუარყოფის პოლიტიკურ ფორმას. მაშასადამე კაპიტალიზმი, როგორც ფაქტი, უკვე შეიცავს თვის უარმყოფელ ელემენტს პროლეტარიატში, მაგრამ კაპიტალიზმი, განვითარების პროცესში განხილული, გვიჩვენებს, რომ იგი უფრო და უფრო აძლიერებს ამ უარმყოფელ ელემენტს, იგი უფრო და უფრო აძლიერებს მასში არსებულ კლასსიურ ანტაგონიზმს, იგი უფრო და უფრო აფართოებს იმ უფსკრულს, რომელიც ამ ორ კლასს ჰყოფს. ეს არსებული და მოზარდი კლასსიური წინაალმდეგობა, კლასსიური ანტაგონიზმი სარჩულათ ედება მუშათა მოძრაობის ორივე ფორმას, როგორც პოლიტიკურს, ისე პროფესიონალურს, რომლის განხილვას ჩვენ ეხლავ შეუდგებით.

რა არის პროფესიონალური მოძრაობა? რა მიზანს ისახავს იგი? რა დამოკიდებულება აქვს მას პოლიტიკურ მოძრაობასთან? აი კითხვები, რომლების გამორკვევას ჩვენ შევეცდებით.

მრეწველობას არ შეუძლიან ვითარდებოდეს ისე, თუ მან აუარებელი მუშა ხელი არ ჩაითრია წარმოებაში. მრეწველები კი ე. ი. კაპიტალისტები სცდილობენ რაც შეიძლება იაფათ იშოვონ მუშები. მაგრამ რაკი ამ მუშა—ხელების მატარებელი ცოცხალი პიროვნებაა, მუშაა, ამიტომ ცხადია, რომ ეს უკანასკნელიც თავის მხრივ ცდილობს რაც შეიძლება ძვირათ გაყიდოს თავისი ხელების ხმარება, თავის სამუშაო ძალი. ამ ყოველდღიურ კონფლიქტში სამუშაო ძალის და კაპიტალის პატრონთა შორის მსაჯულათ ეკონომიური ცხოვრების კანონი გამოდის, რომელიც ჩვეულებრივათ საზღვრავს ყოველ საქონლის ფასის სიმაღლეს. თავის მხრივ ეს კანონი საქონელთა შორის კონკურენციაზეა დამყარებული. თუ მუშათა ბაზარზე არსებული რაოდენობა არა თუ აკმაყოფილებს არამედ მეტიცაა ვიდრე კაპიტალისტებისთვისაა საჭირო, მაშინ მუშათა შორის აუცილებლათ კონკურენცია ჩაღდება, რაც ძლიერ ძირსა სწევს ხელფასს. წინაალმდეგ შამთხვევაში ე. ი. როდესაც გასაყიდელ მუშა ძალის რაოდენობა სწორეთ იმდენია, რამდენიც საჭიროა კაპიტალისტებისთვის, ან კიდევ ნაკლები, მაშინ მუშებს საშუალება ეძლევათ ან „ბუნებრივ“ ფასზე გაყიდონ თავის ძალა, ან კიდევ ბუნებრივ ფასზე ცოტა მაღლა. მაგრამ კაპიტალისტურ წესწყობილებაში სამუშაო ძალის არსებული რაოდენობა თითქმის ყოველთვის აღემატება საჭირო რაოდენობას. როგორც ეკონომიური ცხოვრების ბუნებრივი კანონი, მოთხოვნა—შეძლევის კანონი ერთნაირად მოუსყიდველია, როგორც კაპიტალისტისთვის, ისე მუშისთვის. მაგრამ მისი გავლენა, ამა თუ იმ ადგილას და ამა თუ იმ დროს, კაპიტალისტს შეუძლია აიცდინოს, მუშას კი არა. კაპიტალისტისთვის არ შეადგენს

ლები კადეტებთან ერთათ? ისწავლეთ, ისწავლეთ ამხანაგებო, თორემ ქვეყანა წაიკითხავს თქვენს ნაწერებს და გაეცინება.

* * *

**წიგნი იკითხეთ, ამხანაგებო!** იგივე თბილელი მენშევიკები გვეუბნებიან, რომ პეტერბურგელი ბალშევიკები უარს არ ჰყოფენ კადეტების მხარის დაჭერას, **თუ** ისინი შავრაზმელთა წინაალმდეგ ამხედრდებიან, მაშინ, როდესაც თბილელი ბალშევიკები ამას უარს ჰყოფენო. ძვირფასო ამხანაგებო! ნუ თუ აქამდე არ იცოდით, რომ ბალშევიკები მუდამ მზათ არიან მხარი დაუჭირონ შავრაზმულ რეაქციის წინაალმდეგ ბრძოლას, ვისგანაც უნდა გამოდიოდეს ეს ბრძოლა? ნუ თუ არ იცით, რომ კადეტები იმდენათ არ ებრძვიან შავრაზმულ რეაქციას, რამდენათაც ისინი კავშირს ჰკრავენ მასთან! რომ ამიტომ ეხლა **კადეტებთან ბრძოლის** ლოზუნგია ჩვენთვის საჭირო, და არა მათთან **შერიგების ლოზუნგი**? წიგნები იკითხეთ, ამხანაგებო, და გაეცანით ლიტერატურას, თორემ ქვეყანა კითხულობს თქვენს ნაწერს და... ჩვენ გვრცხვენიან თქვენს მაგიერ...

## ახალი ამბავი

იაპონიის სოციალ-დემოკრატ კატაია-მასაგან გ. პლეხანოვს მიუღია შემდეგი დეპეშა: „იაპონიის სოციალ-დემოკრატების მხრივ სალამს ვაძლევთ თქვენს ამხანაგებს სახელმწიფო სათათბიროში. ვუსურვებთ გამარჯვებას ჩვენს საერთო საქმეში. კატაიამა“.

✦ ეს რამდენიმე ხანია თბილისის პურის გამყიდავები სთხოვენ ქალაქის გამგეობას პურზე ნიხრის მომატებას. ქალაქის გამგეობამ ამ კითხვის გამოსაკვლევათ განსაკუთრებული კომისია დანიშნა. 27 თებერვალს ხსენებულ კომისიას და ქალაქის გამგეობას შეერთებული სხდომა ჰქონდათ, ქალასის აგენტებთან ერთათ, სადაც განხილულ იქნა კომისიის მოხსენება; საიდანაც გამოირკვა რომ საუკეთესოთ გამოცხობილი პური გირვანქა ჯდება; 2 ხარ. 4,21 კაპ. და 3—ხარ. 4,08 კაპ. ეს ფასები დაუჯდა ამ კომისიას, რომელმაც პური თითონ გამოაცხო ნაქირავებ ფურნეში, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ რეგულიარულ გამოცხობით დიდი ეკონომიაა, მეფურნეებს უფრო იაფათ უნდა დაუჯდეთ. გადაწყდა ამისდა მიხედულობით გამოკვლეულ უნდა იქმნას გირვანქა პურის ნამდვილი ღირებულება, რომელიც კომისიის თავმჯდომარეს დაევალა.

✦ დღეს, თბილისის საოლქო სასამართლოში დანიშნულია განსახილველათ საქმე ჩუბინიძისა, მაჭავარიანისა და ზუბაშვილისა, რომელთაც გასულ, 1906 წელს, წყნეთის ქუჩაზე, ამილახვარისთვის, კვალიაშვილისთვის და სხვ. ყუმბარის სროლა ბრალდებათ.

✦ მძარცველთა ჯგუფები თბილისში ისე მრავლდება, როგორც სოკოები. ეხლა კიდევ დაარსებულა ერთი ჯგუფი, რომელსაც შემდეგი ბეჭედი აქვს „Партія волонтеровъ „смертъ“ огнемъ и мечемъ. Кассиръ—**Волкъ**, **Вождь**—Коршунъ“.

✦ 27 თებერვალს, **საღამოს შვიდ ნახევარ საათზე**, როდესაც მე-5 საპოლიციო ნაწილის ბოქაული სკლიანჩენკო ლერმონტოვის ქუჩით მიდიოდა, აბასაბადის და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში ვიღაც უცნობებმა ხუთჯერ რევოლვერი დაახალეს და მოკლეს. მსროლელები მიიმალნენ. მოკლულის გვამი მიხეილის საავათმყოფოში წაიღეს.

✦ 27 თებერვალს, საღამოს რვა-ნახევარ საათზე, ელისაბედის ქუჩით მიმავალ, მინგრელის პოლკის „ვოლნოოპრედელიაუშჩ“ ვესელოვსკის ვიღაც უცნობმა ოთხჯერ რევოლვერი ესროლა, მაგრამ ააცდინა. მსროლელი მიიმალა.

✦ როგორც გავიგეთ,,თბილისის მხერხავთა პროფესიონალური კავშირი‘‘ ამ დღეებში თავის წესდებას გუბერნატორს წარუდგენს დასამტკიცებლათ.

✦ 27 თებერვალს, საღამოს 9 ნახევარ საათზე, ფეოდოროვის და ელისაბედის ქუჩების კუთხეში ვიღაც უცნობმა მოჰკლა, ერევნის გუბერნიის მცხოვრები, ანდრიას ავაქიანცი და მიიმალა.

მოკლულის გვამი მიხეილის საავათმყოფოში წაიღეს.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: ჩვენ სოფელ კინჩის და საწიქლოს (სენაკის მაზრა) გლეხები გულითად მადლობას ვუძღვნით იმ ამხანაგებს, რომელთაც პატივი გვცეს და დაესწრნენ ქალაქ თბილისში ვერაგულათ მოკლულ ამხ. ნიკიფორე ქიშკარიანის და სტეფანე ჩხეიძის გამოსვენებას.

## ამხ. ისიდორ კორას ხსოვნას.

თბილისის მუშები კარგათ იცნობდნენ ამხ. კორას, „გაუსწორებელ ბალშევიკს“, რომელიც „ოქტომბრის დღეებში“ „რაბოჩი ლისტოკში“ მუშაობდა. ყველას ეხსომება მოძრავ, დაუღალავი, საქმისთვის თავდადებული კორა... და აი, მოსკოვიდან იწერებიან, რომ ამხ. კორას თავი მოუწამლია. აი როგორ აწერს მის ბიოგრაფიას გაზ. „Истина“ (იხ. № 4):

„რუსეთის აუტანელმა პირობებმა უდროვოთ ჩაიყვანა სამარეში ჩვენი ძვირფასი ამხანაგი.

რუსეთის სოც.-დემოკრატიას ბევრი უსახელო გმირი ჰყავს. ისინი მოქმედობენ, ისინი გმირულათ იბრძვიან, მაგრამ მათი სახელი იკარგება კონსპირაციის ზღუდეში. ამხ. კორა (ნამდვილი სახელი: ივანე სანჟურ) უკანასკნელი არ იყო ამ გმირებში.

კორა 29 წლის მოკვდა· ის ქ. ეისკიდან იყო (ყუბანის ოლქი) და რეალურ ხასწავლებელში სწავლობდა. შემდეგ ტიპოგრაფიაში მსახურებდა ასოთ-ამწყობათ. ცოდნა თვითგანვითარებით ჰქონდა შეძენილი. ის ეკატერინოსლავის ერობაში შევიდა სტატისტიკოსათ და იქიდან—ეკატერინოსლავის სოც.-დემ. ორგანიზაციაში. მან დასდგა აქ დიდი არალეგალური სტამბა. მის ახლო მონაწილეობით დაიწყეს აქ პროკლამაციების და გაზეთ „მუშათა დროშის“ გამოცემა.

1899 წელს დაიჭირეს, 6 თვეს იყო ციხეში და შემდეგ სტავროპოლში გაგზავნეს. აქ მან მარქსისტული წრეები მოაწყო. შემდეგ დაანება თავი სტავროპოლს და 1900 წლიდან სხვა და სხვა სოც.-დემ. ორგანიზაციებში დაიწყო მუშაობა, ქალაქიდან ქალაქში. სამხრეთის ორგანიზაციის საქმის გამო, მას 5 წლით ციმბირი გადაუწყვიტეს, მაგრამ ჩქარა გაიქცა და „არალეგალურათ“ გადაიქცა. ის მუშაობდა ამ ხანებში ქ. უფაში, კოსტრომაში, მოსკოვში, ტვერში, ეკატერინოსლავში, კიევში, ვოლოგდაში და სხვა.

უკანასკნელი ორი წლიწადი სამხრეთში გაატარა, დონის და დნეპრის ზავოდებში. ზაფხულში, 1905 წელს, ის მხურვალე მონაწილეობას იღებს ბაქოს გაფიცვეში. შემოდგომას ადესაში გადადის. ოქტომბრის დღეებში ის „ნაჩალნიკათ“ გამოდის ბუნდის, რუს. სოც.—დემოკრატიის და ესერების რაზმელებისა. ნოემბერში, რეაქციისგან დევნილი, თბილისში ჩამოდის, სადაც „გაფიცვის ბიუროში„ მონაწილეობს და „რაბოჩი ლისტოკს“ რედაქტორობს... 1906 წლის გაზაფხულზე ის ისევ ბაქოში მიდის, შემდეგ ეისკში, სტავრაპოლში, ნოვოროსისკში, და ბოლოს ისევ მოსკოვში.

ის მხურვალე მონაწილეობას იღებს საარჩევნო კამპანიაში, სადაც ხშირათ, 2—3ჯერ გამოდიოდა კრებებზე. ეს ერთი საუკეთესო სოციალდემოკრატ ორგანიზატორთაგანი იყო და მისი ცოცხალი სიტყვები კარგა ახსოვს მოსკოველ მუშებს· უკანასკნელ დღაებში რეფერატებს კითხულობდა სტუდენტებსა და მუშებში. და მონაწილეობას იღებდა აგრეთვე გაზ. „Истина“-ში, სადაც მან მესამე ნომერში მოწინავე მოათავსა. „რუსეთის რევოლიუციის თვისებაზე.“

მთელი თავისი სულის ძაფებით უყვარდა მას პროლეტარიატი და მისი პარტია და გატაცებით ემსახურებოდა მას. ის საუკეთესო პროპაგანდისტი და აგიტატორი იყო და მუშები პატივსა სცემდნენ მას. სოც.-დემ. პარტიაში ის 10 წელიწადს მუშაობდა და ამ ხანებში 15-16 ციხე მოიარა, სადაც საერთოთ 40 თვე იჯდა.

ევროპიულ რუსეთის და კავკასიის პროლეტარიატს არ დაავიწყდება მამაცი მებრძოლი, რომელმაც მთელი თვისი სიცოცხლე მისცა საყვარელ კლასს.

და ეს ახალი მსხვერპლი დღევანდელი წესებისა ერთხელ კიდევ აუნთებს გულს პროლეტარიატს ამ წესების გასანადგურებლათ.“

## პარტიის ცხოვრება

**რეზოლიუცია ამხ. ლენინის პარტიულ სამართალში მიცემის შესახებ.** ვისაც წაუკითხავს ცნობილი ბროშიურა ამხ. ლენინის „არჩევნები პეტერბურგში და 31 მენშევიკის ფარისევლობა“, სადაც ავტორი მენშევიკებს ბრალსა სდებს, რომ მათ მონარქიულ-ბურჟუაზიის პარტიასთან, კადეტებთან, სახელმწიფო დუმაში დეპუტატების ადგილების საშოვნელად ვაჭრობა დაიწყეს და ამით არჩევნების დროს პროლეტართა მასაში არევდარევა შეიტანეს, მისთვის ძნელი წარმოსადგენი არ იქნება მენშევიკური ც. კ. გაბრაზება ლენინის ბროშიურის გამოქვეყნებისა გამო. ბროშიურამ მენშევიკები მთლად შეარცხვინა და ამისათვის მენშევიკურმა ც. კ. ამხ. ლენინი პარტიულ სამართალში მისცა. ც. კ. ჯერ ხმა არ ამოეღო ამხ. ლენინის მიერ წამოყენებულ ბრალდებულობის წინაალმდეგ და ის პარტიულ დამნაშავეთ გამოაცხადა, მენშევიკურ რაიონებში დადგენილება—დადგენილებაზე გამოატანინა ბროშურის ავტორის საწინააღმდეგოთ. ამ საქციელმა მრავალი ს. დ. აღელვა და ბევრგან ც. კ. წინაალმდეგ რეზოლიუცია შეამუშავებინა. აი, მაგალითად რა გადაუწყვეტია ერთხმად მოსკოვის რაიონულს კომიტეტს, პოდრაიონებითურთ, რომ ამით მოაგონოს მენშევიკურ ც. კ. და პეტერბურგის ორგანიზაციას შემდეგი ფაქტები: 1) მიუხედავათ იმისა, რომ ამხანაგი პლეხანოვი იყო ც. კ. ერთი წევრთაგანი, პლეხანოვმა არჩევნების კომპანიის დასაწყისშივე ბურჟუაზიულ პრესაში იმ გვარი ლოზუნგები წამოაყენა, რომელნიც არსებითად ეწინაალმდეგებოდნენ პარტიულ ტაქტიკას, პარტიულ სიეზდის გადაწყვეტილებას და თვით ც. კ. 2) ც. კ. ამხანაგ პლეხანოვის საქციელზე ხმა არ ამოიღო და ამით დეზორგანიზაცია შეიტანა ჩვენ შეერთებულ პარტიის ცხოვრებაში, როცა პარტიას ერთად მოქმედება ძალიან ესაჭიროებოდა. 3) ც. კ. შემაერთებელ სიეზდის შემდეგ, სისტემატიურ დახმარებას უწევდა პეტერბურგელ მენშევიკების დეზორგანიზაციულ მოქმედებას (პეტერბურგის კომიტეტის დაუკითხავათ მენშევიკურ ცენტრალურ რაიონებს კავშარით შეეკრა, აწვდიდა მათ ლიტერატურას, ჰგეჭდავდა მათ ფურცლებს თავის საკუთარ ტიპოგრაფიაში, ანაწილებდა თავის ნებით მენშევიკ მუშაკებს და სხვა) იმის მაგიერ, რომ შემაერთებელ სიეზდის დადგენილების მიხედვით ხელი შეეწყო პარტიის საქმით შეერთებისათვის. 4.) ც. კ. საქციელი საქალაქო კონფერენციაზე, ის საშუალებანი, რომელთაც მენშევიკებმა კონფერენციის თავდანებებით მიმართეს, პარტიაში განხეთქილების დაწყებას მოასწავებს. 5) მოლაპარაკებაში, რომელიც მენშევიკებმა კადეტთა პარტიასთან გამართეს, ც. კ. არამც თუ წინ არ აღუდგა, არამედ თითონაც მონაწილეობა მიიღო და აშკარათ მფარველობდა მას. 6) ც. კ. არავითარი პროტესტი არ განაცხადა იმ წერილის წინაალმდეგ, სადაც მენშევიკები განხეთქილების შესახებ ფაქტების სინათლეს ჰფენდნენ და ამით პარტიას განხეთქილებისაკენ ეწეოდნენ. 7) ამხ. ლენინს მენშევიკების არა-სოციალდემოკრატიულ საქციელის გამოაშკარავებისათვის ც. კ. დევნა დაუწყო. ყველა ამან მოსკოვის რაიონული კომიტეტი და მისი პოდ-რაიონული ორგანიზაციები შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა: 1) ამხ. ლენინის ც. კ. მიერ პარტიულ სამართალში მიცემა უნდა ჩაითვალოს ც. კ., როგორც მენშევიკური ცენტრის ერთ ფარისევლობის მოქმედების ნიმუშად. 2) ც. კ. შემაერთებელ სიეზდის გადაწყვეტილების წინაალმდეგ პარტიულ აზრის და ნების სრულ გამოხატულობის თავისუფლებას ჰხუთავს, ფრთებს აკვეცს პარტიის მეორე ნაწილის აზრთა და შეხედულობათა, 3) წინაალმდეგ შემაერთე-

---

აუცილებლობას უექველათ მაშან და იქ იყიდოს სამუშაო ძალა, სადაც და როდესაც ის ძვირია. მას შეუძლიან სხვაგან იყიდოს ის, სადაც იგი იაფია. მას შეუძლიან მაშინ იყიდოს იგი, როდესაც ის გაიაფდება. მუშას კი არა -ქვს საშუალება იქ გაყიდოს თავის სამუშაო ძალა, სადაც იმისთვის სასარგებლოა, ე. ი. იქ, სადაც მოთხოვნა—შეძლევის კანონი მის სიძვირეს უწყობს ხელს. მუშას არ შეუძლიან აგრეთვე მოიცადოს და მაშინ გაყიდოს თავის სამუშაო ძალა, როდესაც იგი გაძვირდება.

მაგრამ მარტო სამუშაო ძალის გაყიდვის დროს არაა უმწეო მუშა. თუ კი ის განმარტოებით სდგას კაპიტალისტის წინ, კაპიტალისტი უყურებს მას როგორც საექსპლოატაციო საგანს, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება დიდი ზედმეტი ღირებულება შეჰქმნას ხაზეინისთვის. რაც უფრო დიდ ზედმეტ ღირებულებას შეჰქმნის მუშა კაპიტალისტისთვის, მით უფრო ნაკლებ ღირებულებას მიიღებს თვითონ ის. გარდა ამისა მუშის ნაწილი მისგან შექმნილ ნაწარმოებში არ წარმოადგენს მუდმივს და უცვლელ რამეს. ამიტომ კაპიტალისტი ყოველთვის ცდილობს ეს ნაწილი რაც შეიძლები დააპატაროს. თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე, რომ განმარტოებული მუშა კაპიტალისტის წინაალმდეგ სრულიათ უძლურია, მაშინ ადვილათ წარმოვიდგენთ იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშიაც აგდებდა და აგდეს დღესაც კაპიტალიზმი შეუკავშირებელ, განკერძოებულ მუშებს.

**ა. ბაჟელი.**

(შემდეგი იქნება)

ზელ სიეზდის გადაწყვეტილებისა, რომელიც პარტიულ ცხოვრებაში შეთანხმებულ მოქმედების აუცილობლობას აღიარებს, ც. კ. თვითონ გამოდის დეზორგანიტორ მენშევიკების მეთაურად და ამით პარტიის არსებობას განსაცდელში აყენებს, 4) ამიტომ ც. კ. სანამ ამხ. ლენინს გაასამართლებდეს, თითონ უნდა გასამართლებულ იქმნას არა პარტიულ ყოფა-ქცევისათვის!)

**ს. დ. პარლამენტალურ ფრაქციის კრება.** დუმის ს. დ. ფრაქციას, წერეთლის თავმჯდომირეობით, კრებაზე შემდეგი რეზოლაუცია გამოუტანია: სოციალდემოკრატიულ დუმის ფრაქცია მომავალში სრული დამოუკიდებელი იქნება სხვა პარტიების პარლამენტალურ ფრაქციებისგან ყველა პოლიტიკურ-სოციალურ კითხვების გადაჭრაში. კრებაზე 13 ბოლშევიკმა გამოაცხადა, რომ ფრაქციის გადაწყვეტილება სავალდებულოდ მიაჩნია, მხოლოდ სთხოვს ფრაქციას, რომ ნება ჰქონდეთ მათ კრებებზე არ დასწრებისა.

## პროვინცია

**გურია.** მეტად შემაძრწუნებელი ამბები ხდება ამ ჟამათ გურიაში. თვითმყრობელობის ნაშთებმა შეიკრიბეს ძალ-ღონე და დამხბენ იანვრის „შავი" დღეების განმეორებას. მთავრობა ცდილობს ხალხი გამოიწვიოს და ნაწილ-ნაწილად დაამარცხოს ის. ის დაეძებს მიზეზს ამისთვის. საკმარისია ერთმა ვინმემ მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც მათ არ ესიამოვნებათ, რომ იმ წამსვე მიუსიონ ეგზეკუცია მთელ საზოგადოებას, განჩრეკა—დაპატიმრება და სხ. და მრ., ამას წინათ ნატანების გზაზე ვიღაცეებმა გაღახეს ბოგირების მოიჯარადრე ნესტორ ტალახაძე. ჯაშუშებმა მიიტანეს პოლიციაში ამბავი, რომ ეს კომიტეტის გადაწყვეტილებით მოიყვანეს სისრულეში. იმ წამსვე რაზმის უროსის პოდ. ტალმაჩევის განკარგულებით კაზაკები და სალდათები ოფიცრების და მგელაძე—ბერიძის თანხლებით სრული საომარ წესრიგით დარაზმულნი გაეშურნენ ს. დვაბზუში. საზოგადოებას დაუსვეს ასეთი ულტიმატუმი: „მოგვეცით ბოროტგამძრახველები, თუ არა 3000 მანეთი გადაიხადეთ"-ო. საზოგადოებიდან პირველზეც და მეორეზეც კატეგორიული უარი მიიღეს. „ჩვენ არ ვიცით ვინ არიან ბოროტკამზრახველები, ფულები არ გვაქვს, ჩვენით ვერ მოგცემთ და თქვენ, თუ რამეს იშოვნით, წაიღეთო" ამ პასუხის შემდეგ ისინი თვითონ შეუდგნენ „ჩადირობას". იმ დამესვე დაიჭირეს სამი კაცი: გდ. ხინთიბიძე, ვ. გობრონიძე, თ. თავდიშვილი. მეორე დღეს თავს დაესხნენ ვ. თავაძეს, რომელიც გითომდა დიდ მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. მაგრამ ის სახლში არ დაუხვდათ. აფიცერმა იმ წამსვე გასცა ბრძანება: „ცეცხლი წაუკიდეთ"-ო და საბრალოს ოჯახი სულ ერთიანათ გადაუბუგეს. ამ სანახაობამ საზოგადოება მეტის მეტათ აღელვა, მაგრამ ხმა არსით იყო. სოფელში აუარებელი ჯარი იდგა, რომლებიც დაძრწოდენ აქა-იქ და იტაცებდნენ ყველაფერს, რაც კი შეხვდებოდათ. ის სამი კაცი, რომლებიც დაიჭირეს, დაუყონებლივ მისცეს სამხედრო საველე სასამართლოში და გადაუწყვიტეს 16 წლის კატორღა თვითეულს. სხვათა შორის დააპატიმრეს სოფლის მამასახლისი ი. ჯახუტაშვილი, რომელიც, თითქოს, ხელს უწყობდა თავაძის გაქცევას და კიდევ ორი სხვა: ი. დღონტი და გ. ბაგუა ეს კაცები ეხლაც ციხეში სხედან. ეგზეკუცია აქ დაჰყო 12 დღე. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა ამ ხნის განმავლობაში საზოგადოება. რასაც მოითხოვდნენ აფიცრები და კაზაკებიც, იმ წამსვე უნდა გაეჩინა და, თუ არ მოეწონებოდათ, მაშინ დღეს დაგაყენებდნენ. ერთი ურემი თივა, რომელიც მიუტანეს სოფლებმა, არ მოეწონა აფიცერს და მაშინვე ცეცხლი წაუკიდა და, რომ ხალხი არ ჩარევოდა ურემიც და ხარებიც დაიწვებოდა. მეცამეტე დღეს, როგორც იქნა, მოხსნეს ეგზეკუცია და ხალხმაც ცოტათი თავისუფლათ ამოისუნთქა...

ასე წარმოიდგინეთ აქაური ადმინისტრაცია მოქმედების დროს ისეთ ღონისძიებას იჩენს, რომ პოლიციელებსაც აღარ ენდობა. პარასკევს, 23 თებერვალს შემოერტყნენ პოლიცია და დაუწყეს ჩხრეკა. თუმცა „აკრძალული" ვერაფერი იპოვეს, მაგრამ სამი კაცი მაინც დააპატიმრეს: დ. მუჯირი, ი. ტრაპაიძე და მესაბდე.

აქაურ ციხეში, სადაც 50 კაცი დაეტევა, ტუსაღთა რიცხვი 150 კაცს გადააჭარბებს, რისთვისაც ტუსაღები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. რაც დღე გადის სულ ემატება და ემატება. ამას წინათ დაჭერილი დ. შალაკაძე, რომელიც ისედაც დასნეულებული მეტის მეტით დასნეულდა რეუმატიზმებისაგან ციხეში ჯდომით, როგორც იქნა, გაანთავისუფლეს თავდებით...

**ვ. დასჯილისშვილი**

## ამხ. მენშევიკების მიმართ.

ამხანაგებო! დიდათ სამწუხარო ამბებს ვყურობ ზოგიერთ ამხანაგ მენშევიკებისაგან. თუმც არ არის კარგი, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო ამხანაგების საქციელი. ამ ცოტა ხანებში ძლიერ გამწვავდა ფრაქციათა შორის უთანხმოება და აი, მეც დავდიოდი მეექვსე რაიონის დისკუსიებზე. მე იქ ბევრი არა სასიამოვნო სიტყვები მესმოდა ამხანაგებისაგან. აი მაგალითად: დისკუსიების დროს, როდესაც ბალატიროვკაზე იყო დნსმული რეზოლიუცია—„სახელმწიფო სათათბირო და ჩვენი ტაქტიკა", მენშევიკურ რეზოლიუციას, სხვათა შორის, ერთმა ამხანაგმა არ მისცა. ხმა, რამაც ძლიერ გააბრაზა ერთი მენშევიკი ამხანაგთაგანი. დაიხურა კრება თუ არა, მივიდა ეს გაბრაზებული ამხანაგთაგანი და უთხრა: რად არ მოგვეცი ხმა? იმიტომ არ მოგეცით რომ მე არ მომეწონა ეს მენშევიკური რეზალიუციაო მიუგო გიბრაზებულ ამხანაგს. ვაიმე, აი ეხლა კი დავამტკიცე შენი ბალშევიკობა, მიუგო, მენშევიკმა, შენ, ერთხელაც ამოგირჩიეთ კონფერენციაზედ, და იქაც ბალშევიკისთვის მიგეცა ხმაო და სხვა. მე ერთობ მაკვირვებს ამხანაგების საქციელი: რომ ის ადამიანა უზღუდავს უფლებას მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ თავისუფლებას ვთხოულობთ—საკვირველია! განა როცა რომელიმე „იაჩეიკა" . ირჩევს და გზავნის დელეგატს—დანიშნულს ალაგს უეჭველათ ავალებს, რომ მენშევიკებს მიემხროო? განა თქვენს ამორჩეულ დელეგატს თქვენ დაავალეთ, რომ უსათუოდ მენშევიკისთვის მიეცა ხმა? მაგრამ ჩქნება კერძოთ თქვენ დაავალეთ და მიტომ გეწვის გული? სამწუხაროთ არც ეს არის გასაკვირი თქვენგან.

ამხანაგებო! ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება ყოველივე არჩენნების დროს, ავირჩიოთ და ხმა მივცეთ განურჩევლათ ფრაქციისა, რომელიც უნდა იყოს იგი ოღონდ რ. ს. დ. მ. პ. ეკუთვნოდეს და იყოს ენერგიული და დაუღალავი მუშაკი. თორემ ჩვენ რომ გავამწვავოთ ფრაქციათა შორის ბრძოლა, ეს მტრის გასახარელი იქნება.

**ნოქარი ერმილე**

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 თებერვალი

**პეტერბურგი.** 26 თებერვალს სახელმწიფო დუმის პრეზიდიუმის კრებამ გადასწყვიტა ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს დანიშნულ ადგილის გარდა აღარ დაუთმოს დამატებით, ადგილები არ მიეცეს კულუარის ბილეთები და იმ ჟურნალისტებს, რომელთაც ადგილი უჭირავთ ზემო ლოჟაში პუბლიკასთან ერთად, არ მისცენ კულუარებში გასვლის ნება,

— გაძარცვეს: ნიკოლაევში—ჩერკასკის მაღაზია, წაიღეს 80 მანეთამდე, — რიგაში—საწვრილმანოს დუქანი, წაიღეს 130 მან. და მოკლეს დუქნის პატრონის შვილი; ლოძში—შეიბლერის ფაბრიკის ცენტრალური საქონლის საწყობი, წაიღეს 1200 მან.

**ოდესსა.** რუსეთის შინაგან ვაჭრობის ბანკის განყოფილების დამატებითი ჩხრეკის დროს, რამდენიმე სტოლის უჯრებში იპოვნეს 1000 პატრონა, გატენილი რევოლვერები, მაუზერები და მრავალი პაჩკები ასაფეთქებელ ნივთიერებით.

— რადგანაც დეკანს და სეკრეტარს მედიცინის ფაკულტეტისა — პროფესორებს ლევაშოვს და მანკოვსკის რომლებიც ამოარჩიეს მემარჯვენე პროფესორებმა, სტუდენტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, სამივე (?) მემარჯვენე პროფესორმა შესწყვიტეს ლექციები.

**დერბენტი.** (სოფ.?) ხუტულის მცხოვრებლებმა მოკლეს ყაჩაღი ბაბა, რომელიც მეხათ ევლინებოდა მეთევზეებს. მას ზედ აღმოაჩნდა 22 ათასი მან.—ნაძარცვავი ფული,

27 თებერვალი.

**ლონდონი.** „ტაიმსი" ურჩევს შახს, რომ მიიღოს ყოველივე ზომა მხარეში მშვიდობიანობის ჩამოგდებისთვის, რომელსაც მიახწევს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი დაიცავს ბოძებულ კონსტიტუციას. გაზეთი აფრთხილებს, რომ შახი ტყუილა ნუ გამოელის გარედგან რაიმე შემწეობას მოძრაობის ჩაქრობაში; ორი უდიდესი სახელმწიფო, დაინტერესებული სპარსეთით, სულით და გულით მოსურნეა მშვიდობიანობისა; მაინც ყოველ შემთხვევაში, ორივე სახელმწიფოს შორის მოსალოდნელ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, დაინტერესებულნი არიან შექმნან სპარსეთში მკვიდრი და ძლიერი მთავრობა, რომელიც განაგებდეს მთელ მხარეს სამართლიანი კანონებით.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმის თავმჯდომარისთვის მღვდელ პეტროვს მიუწერია წერილი, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: „მოლოდინი არ გამართლდა, მე უნდა დავრჩე მონასტერში, დეე, ეს ასე იყოს. თუ დუმაში სხდომების დროს აღიძრას ჩემ მონასტერში დატყვევების შესახებ საკითხი, ნება მომეცით მივმართო დუმის წევრებს პრინციპიალურის თხოვნით—დუმის შერჩენის გულისთვის, ნუ გაამწვავებენ ისედაც მის გამწვავებულ მდგომარეობას და დამშვიდებულნი მიეგებნენ სინოდის უარს—ჩემი მონასტრიდან განთავისუფლების საკითხს. სინოდის უარი უნდა მიიღონ უსიტყვოთ და მშვიდათ".

**პეტერბურგი.** უახლოვესი სხდომა სახელმწიფო დუმაში შესდგება პარასკევს.

— ოდესის დეპუტატმა პერგამენტმა დუმაში შეიტანა საკითხი ოდესაში მომხდარ ხოცვა-ჟლეტისა და მთავრობის მხრივ რუსთა კავშირის მფარველობის შესახებ.

— სუდებნი პალატის საგანგებო სხდომაზე ინჟენერ ტეხნოლოგი რუტენბერგის ცოლს „ბიბლიოთეკა ყველასათვის", „საფრანგეთის დიდი რევოლიუციის" გამოცემებისათვის და შიშკოს „რუსეთის პოპულიარულ რუსეთის" გადაბეჭდვისათვის მიუსაჯეს ერთი წლით ციხეში ჯდომა.

**მოსკოვი.** გათენებისას მოკლეს გოროდოვოი გერანი: ოთხმა ახალგაზდა კაცმა, რომელნიც აქვე შეიპყრეს განაცხადეს, რომ ისინი არიან ანარქისტები და გადასწყვიტეს გოროდოვოების იარაღის აყრა. ამ ნაირათ იმათ აჰყარეს იარაღი ერთ გოროდოვოის იაკიმანის მოედანზე, ისინი მდევრის შიშით გამოცვივდნენ ვასილიევის მოედანზე და მოკლეს რევოლვერით გოროდოვოი გერანი, რომელიც წინ გადაეღობა. დაჭერილები აღმოჩნდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები ნოვიცკი და ჩებოტაროვი; გადასახლებულ ადგილიდან გამოქცეული ტეხნიკურ სასწავლებლის სტუდენტი ბეზრადეცკი და ბრიანსკის გზის ტელეგრაფისტი ოვსიანიკოვი. დაჭერის დროს ისინი ამოეფარნენ თოვლის გროვას და ესროლეს პოლიციელებს ოცდა ათ ჯერ. მოახდინეს განკარგულება დაჭერილები გადასცენ სამხედრო-საველე სასამართლოს.

**პარიზი.** ღამით გარდაიცვალა რესპუბლიკის პრეზიდენტათ ნამყოფი კაზიმირ პერიე. პერიეს შვილმა უარყო კლემანსოს წინადადება დამარხოს მამა სახემწიფო ხარჯით, რადგანაც განსვენებულის სურვილი იყო, რომ დასაფლავება მოხდეს უცერემონიოთ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმის წევრათ კასპიის მხარის ოლქიდან ამოირჩიეს მირონოვი—ს. დ.

**სევასტოპოლი.** სამხედრო საზღვაო სასამართლომ მეორეთ გაარჩია კასსაციონური საქმე ადმირალ ჩუხნინის მკვლელობის შესახებ, მატროსი ბონდარენკო და გლეხი შატენკო ხელმეორეთ იცნო დამნაშავეთ და მიუსაჯა ორივეს 15 წლის კატორღა.

**სამარა.** ბეჭდვითი საქმის კავშირის 20 წევრი შეცვივდენ „ვოლჟსკი სლოვოს" კანტორაში, დაიჭირეს გასასვლელი გზები და ტელეფონი და „მხეცურბთ დაუწყეს ცემა ორ ასოთამწყობს".—გაზეთების თანამშრომლებმა „გარადსკოი ვესტნიკში" დაბეჭდეს ღია წერილი, რომლითაც აცხადებენ განცვიფრებას ამ საქმის გამო.

**პეტერბურგი.** დუმის წევრებათ აირჩიეს: ასხაბადში—კასპიის მხრის ადგილობრივ მცხოვრებლებიდან—პოლკოვნიკი თურქმენის მილიციისა მაკტუმ კალიხანი, უპარტიო, სამარყანდის ოლქიდან—აბდულხალილევი, უპარტიო, ვაქარი, ფერგანის ოლქიდან არა ადგილობრივ მცხოვრებლებმა—დრუკარი, მაშინისტის თანაშემწე, ს.-რ.; ადგილოერივ მცხოვრებლებმა—მუხა-მეჯანოვი, ვაქარი, სართი, უპარტიო. სხვა ცნობებით დრუკარი—მშრომელთა ბლოკისაა, მირონოვი—მემარცხენე.

**იალტა.** პოლკოვნიკი დუმბაძე კაპიტან სენსაისთან ერთათ მიდიოდენ მახანდრიდან ლივადიაში. ლივადიის გზატკეცილზე ნოვიკოვის აგარაკის დერეფნიდან ვილაცა კაცმა ესროლა ყუმბარა. ამავე დროს მეზობელ აგარაკიდან ესროლეს რევოლვერი. დუმბაძე გადმოხტა ეტლიდან. რამდენიმე ადგილას გაეკაწრა და დაუშავდა ყური. სენსაი დაიჭრა მუხლში. ამ ადგილას უცებ გაჩნდა ერთი ბატალიონი. ბოროტ-გამზრახველმა მეზობელ დერეფანში თავი მოიკლა. მისი ამხანაგი, რომელმაც მოინდომა ბოქაულის თანაშემწისათვის რევოლვერის სროლა, გაიქცა სახლი იწვის. შიგნითგან მოისმის სროლის ხმა, სკდება პატრონები. ამავე დროს სიმფეროპოლის შოსსეზე დრაგუნების რაზმმა დაიჭირა იუბკიანი და თავშალმოხვეული ადამიანი რევოლვერით ხელში. პროკურორის ამხანაგი ახდენს გამოძიებას.

— გუშინ პალკოვნიკი დუმბაძე გრძნობდა თავს უკეთესად და განკარგულებებს ახდენდა, დღესკი მისი მდგომარეობა უფრო შემძიმდა, გაკაწრებულიდამ იღებენ ყუმბარების ნატვრევებს, ყურები უჩირქდება. ემჩნევა ტვინის შერყევა და ორგანიზმას მოწამლვა. რუსთა კავშირის განყოფილებამ გადაიხადა სობოროში პარაკლისი და დუმბაძეს დეპუტაცია გაუგზავნა, მოსდის აგრეთვე ბევრი თანაგრძნობის წერილები. ბოროტგამზრახველი, რომელმაც თავი მოიკლა, ისროდა არტილერიის აფიცრის ლევანდოვსკის სახლიდან, სადაც იპოვნეს კიდევ ორი რევოლვერი, რომლითაც აჩნიათ, რომ ტყვიები ახალი გასროლილია. ლევანდოვსკი დღეს გაგზავნეს სევასტოპოლის კომენდანტის განკარგულებით, მასთან მცხოვრები ქალი დაატუსაღეს იალტაში.

რედაქტორ-გამომც. მ. კვაჭაძე.

სტამბა „საქმე" მიხაილოვის პრ. № 40.